Research

სიღარიბე საქართველოში (2010-2020)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #130 13.10.2021

სიღარიბის დაძლევა მთელი მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა კი ბევრ ოჯახს შემოსავალი კიდევ უფრო შეუმცირა და აღნიშნული პრობლემა უფრო გაამძაფრა. 2020[1] წელს, NDI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 39%-ისთვის მთავარ პრობლემას კვლავ სიღარიბე წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ მიმოგვეხილა ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებლის ცვლილებები.

	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	ადამიანის განვითარების ინდექსი	მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ზღვარის მიღმა მოსახლეობა (%)	ჯინის ინდექსი	სიცოცხლის ხანგრძლივობა
წელი	2020	2020	2019	2021	2020
ინდიკატორი	4279	0.57	3.8%	36.4	74.2
მსოფლიო პოზიცია	122	85	57	76	101
EaP პოზიცია	3	6	1	1	3

წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია

ქვეყნები განსხვავებული მეთოდოლოგიით განსაზღვრავენ სიღარიბის დონეს. ამიტომ, საერთაშორისო დონეზე საქართველოს მდგომარეობის უკეთ წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანია, იმ ინდიკატორების მიმოხილვა, რომლებიც უკავშირდება სიღარიბეს და განსაზღვრავენ მის ხარისხს.

2020 წელს, საქართველოში **ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მ** 4279 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიოში 122-ე და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (EaP) შორის მე-3 ადგილია. **ადამიანური კაპიტალის ინდექსის**[2] მიხედვით, რომელიც აფასებს ჯანმრთელობისა და განათლების წვლილს მშრომელთა პროდუქტიულობაში, 2020 წელს, საქართველო 0.57 ქულით, 174 ქვეყნიდან 85-ე და EaP ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა.

მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი სიღარიბის სხვადასხვა ფორმებს მოიცავს, როგორებიც არის ჯანდაცვაზე და განათლებაზე არასაკმარისი წვდომა, დაბალი ცხოვრების დონე, მუშაობის დაბალი ხარისხი და ძალადობის საფრთხე. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 3.8% მრავალბანზომილებიან სიღარიბეში იმყოფებოდა, რაც 120 ქვეყნიდან 57-ე, ხოლო EaP ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. **ჯინის ინდექსი** საზოგადოებაში შემოსავლების განაწილებას ზომავს. 2021 წელს საქართველოს მაჩვენებელი 36.4-ს შეადგენდა, რაც 165 ქვეყნიდან 76-ე, ხოლო EaP ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი უთანასწორობის მაჩვენებელია. **სიცოცხლის ხანგრძლივობის** თვალსაზრისით, 2020 წელს საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 74.2 წელი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 101-ე და EaP ქვეყნებს შორის მე-3 ადგილს იკავებს. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, საერთაშორისო დონეზე საქართველო არის ზედა-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანა[3], რომელიც ხასიათდება უთანასწორობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზომიერი მაჩვენებლებით. არასაკმარისი ხარისხის განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გამო, საქართველო ვერ ახერხებს ადამიანური კაპიტალის მობილიზებას ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონის მისაღწევად[4].

ვინაიდან სიღარიბეს მნიშველოვნად განსაზღვრავს შემოსავალი, ბოლო ათწლეულის სიღარიბის ტენდენციების ანალიზს შინამეურნეობების შემოსავლების მიმოხილვით ვიწყებთ. 2010-დან 2020 წლამდე, შინამეურნეობების ნომინალური შემოსავლები შესამჩნევად გაიზარდა. 2010 წელს საშუალო თვიური შემოსავალი საქართველოში 569 ლარი იყო, 2020 წლისათვის კი - 1029 ლარი. ამ პერიოდში საშუალო ზრდის ტემპი იყო 6%. 2010-2015 წლებში შემოსავლის ზრდა შესამჩნევი იყო - 10% (საშუალო ზრდის ტემპი), ხოლო 2016-2020 წლებში 2%. 2020 წელს, COVID-19 კრიზისის შედეგად, შინამეურნეობის ნომინალური შემოსავალი, 2019 წელთან შედარებით, 3%-ით შემცირდა.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

ბოლო ათწლეულში საქართველოში მაღალი ინფლაცია ფიქსირდებოდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია შინამეურნეობების საშუალო შემოსავლების ინფლაციის გათვალისწინებით გაანალიზება. ანალიზისას ჩანს, რომ საშუალო რეალური შემოსავალი, საშუალო ნომინალური შემოსავლისგან განსხვავებით, უფრო მოკრძალებულად გაიზარდა. 2010-დან 2020 წლამდე ზრდამ 163 ლარი შეადგინა და 732 ლარს მიაღწია. რეალური შემოსავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა - 806 ლარი. რის შემდეგაც, სტაგნაცია დაიწყო და 2020 წელს, ნაწილობრივ COVID-19 პანდემიის გამო, საშუალო რეალური შემოსავლის ოდენობა 2013 წლის დონემდე ჩამოვიდა.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

თუ შინამეურნეობების შემოსავლებს ჯგუფებად დავყოფთ, ჩანს, რომ ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფი (0-დან 500 ლარამდე) ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად, 35 პროცენტული პუნქტით (პპ) შემცირდა. ამავდროულად, ყველა სხვა ჯგუფის ზომა გაიზარდა: 2020 წლის მაჩვენებლების 2010 წელთან შედარებისას ჩანს, რომ იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც თვეში 501-დან 1000 ლარამდე იღებენ, 10 პპ-ით გაიზარდა, ხოლო თვეში 1001-1500 ლარამდე შემოსავლის მქონე შინამეურნობების წილი 12 პპ-ით.

2010 წელს, შინამეურნეობების 95% ხვდებოდა სამ ყველაზე დაბალშემოსავლიან, ხოლო 88% კი ორ ყველაზე დაბალშემოსავლიან კატეგორიაში. 2020 წლისთვის, ეს მაჩვენებლები 81% და 63%-მდე შემცირდა, შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში შინამეურნეობების ნომინალური შემოსავლები გაიზარდა, 2020 წელს საქართველოში შინამეურნეობების 63%-ს კვლავ 1000 ლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა. მეტიც, 2010 წლის ფასებზე მორგებული შემოსავლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ შინამეურნეობების 63%-ს რეალური შემოსავლები 711 ლარს არ აღემატებოდა.

1. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20Poll%20-%20August%202020%20-%20GEO%20-%20Final.pdf
2. ადამიანური კაპიტალის ინდექსი ქვეყნებს ანიჭებს ქულებს 0 დან 1-მდე. სადაც 1 ნიშნავს მაქსიმალურ გამოყენებას და 0 მინიმალური. https://datacatalog.worldbank.org/dataset/human-capital-index
3. https://blogs.worldbank.org/opendata/new-world-bank-country-classifications-income-level-2021-2022
4.https://bm.ge/ka/article/adamianuri-kapitalis-indeqsi-saqartveloshi---quotproduqtiulobis-43-s-umodzraod-tovebt-magidazequot/64219



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო სიღარიბის ზღვრები, გვიჩვენებს ქვეყნის მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს დღიური შემოსავლის $1.9, $3.2 და $5.5-ის მიღმა. აღნიშნულ მაჩვენებლებზე დაკვირვება მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოების დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე. 2010 -2019 წლებში, საქართველოში სიღარიბის ზღვრებს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, 2019 წელს მოსახლეობის 41.9%, $5.5 დღიური შემოსავლის მიღმა ცხოვრობდა.

2010-2019 წლებში, $1.9-იანი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი 12%-დან 3.8%-მდე შემცირდა. ამავე პერიოდში, მოსახლეობის წილი, რომლის ყოველდღიური შემოსავალი $3.2-ზე ნაკლებია, 30.6%-დან 14.8%-მდე შემცირდა, $5.5-ის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი კი 60.8%-დან 41.9%-მდე. სიღარიბის ზღვრებს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილის კლება განსაკუთრებულად 2010-2015 წლებში შეინიშნებოდა. 2016-2019 წლებში შესუსტებული კლება ნაწილობრივ გაცვლითი კურსის ცვლილებებიდან გამომდინარეობს. რადგან აღნიშნული ინდიკატორი აშშ დოლარში იზომება.

უკანასკნელ ათწლეულში შინამეურნეობის შემოსავლების ზრდა, შესაძლოა, შრომის ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესებით აიხსნას. 2010 წლიდან 2020 წლამდე, დასაქმების დონე 37.5%-დან 41.1%-მდე გაიზარდა, ხოლო უმუშევრობის დონე 27.2%-დან 18.5%-მდე შემცირდა. ამ ცვლილებებმა გავლენა იქონია სიღარიბეზეც.

2010-2020 წლებში, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს[5] მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი 37%-დან 21%-მდე შემცირდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წლიდან 2015 წლამდე 15.7 პპ-ით დაიკლო, ხოლო მას შემდეგ მნიშვნელოვად აღარ შეცვლილა. 2020 წელს, COVID-19-ის კრიზისის გამო, 2019 წელთან შედარებით, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი 1.8 პპ-ით გაიზარდა. სოფლად მცხოვრებთათვის კრიზისი შედარებით ძლიერი აღმოჩნდა და 3.8 პპ-ით გაიზარდა, ხოლო ქალაქად - 0.7 პპ-ით. უნდა აღინიშნოს, რომ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს[6] მიღმა მყოფი მოსახლეობის წილის დინამიკაში არ აისახა ბოლო ათწლეული აბსოლუტური სიღარიბის ცვლილებები და მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.



წყარო: საქსტატი

ბოლო ათწლეულში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილის კლების მიუხედავად, სოციალური შემწეობის მიმღები ადამიანების წილი საქართველოს მოსახლეობაში 11.4%-დან 13%-მდე გაიზარდა. COVID-19-ის კრიზისის გამო კი, 2021 წლის აგვისტოში შემწეობის მიმღებთა წილმა 16.7%-ს მიაღწია.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

სიღარიბის გასაზომად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი საარსებო მინიმუმია, რადგან ეს მაჩვენებელი გამოიყენება აბსოლუტური სიღარიბის დონის განსაზღვრისას. საშუალო ზომის შინამეურნეობის საარსებო მინიმუმი აღნიშნავს შემოსავლის მინიმალურ დონეს, რომელიც საჭიროა საქართველოში საშუალო ოჯახის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

2010-2020 წლებში საშუალო ოჯახისთვის ყოველწლიური საარსებო მინიმუმი მუდმივად იზრდებოდა, გარდა 2012, 2013 და 2016 წლებისა, როდესაც აღინიშნებოდა კლება. 2010 დან 2020 წლამდე საარსებო მინიმუმი 96 ლარით გაიზარდა და 321 ლარი შეადგინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საარსებო მინიმუმის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა ინფლაციის მაღალმა დონემაც იქონია და რეალური მაჩვენებელის მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნებოდა.

საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიამ შესაძლოა ზუსტად არ ასახოს აბსოლუტური სიღარიბის დონე. საარსებო მინიმუმის დაანგარიშებისას საქსტატი ადგენს საკვების შესაძენ თანხას, რომელიც საშუალო ოჯახს კალორიების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფს. აღნიშნული თანხა შემდგომში განისაზღვრება, როგორც საარსებო მინიმუმის 70%, შესაბამისად დარჩენილი არასასურსათო ხარჯების წილი 30%-ს შეადგენს. თუმცა საქსტატის მიხედვით, 2020 წელს საქართველოში საშუალო ოჯახის დანახარჯები საკვებზე, სასმელებსა და თამბაქოზე აუცილებელი დანახარჯების[7] (საკვები,თამბაქო, სასმელი და ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები, ჯანდაცვა) 54%-ს შეადგენდა, შესაბამისად არა სასურსათო ხარჯების წილი საარსებო მინიმუმში უნდა განისაზღვორს, როგორც მინიმუმ 46%. ამ მონაცემის (54%/46%-იანი პროპორცია) მიხედვით, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული საარსებო მინიმუმი 95 ლარით იზრდება და 416 ლარს აღწევს.

შეიძლება ითქვას, რომ 2010-2015 წლებში რეალური შემოსავლის ზრდის გამო, აბსოლუტური სიღარიბის დონის ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი შემცირდა, თუმცა 2015 წლიდან შეინიშნებოდა რეალური შემოსავლის სტაგნაცია და სიღარიბის აბსოლუტური ზღვარიც შესამჩნევად არ შეცვლილა. გარდა ამისა, აბსოლუტური სიღარიბის უფრო ზუსტი მაჩვენებლის მისაღებად, შესაძლოა საჭირო იყოს საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიის გადახედვა.

5. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ანახებს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც შემოსავალი აქვს საარსებო მინიმუმს ქვევით. https://www.geostat.ge/media/29275/0702_050220_GE.pdf
6. სიღარიბის ფარდობითი ზღვარი განისაზღვრება ქვეყანაში მთელი შემოსავლის ან დანახარჯების განაწილების შეფარდებითი მაჩვენებლით https://www.geostat.ge/media/29275/0702_050220_GE.pdf
7. აუცილებელი დანახარჯები დადგენილია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2017	2018	2019	2020	2021 I კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16 248.5	17 596.6	17 470.7	15 888.1*	3 400*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 358.5	4 722.0	4 696.2	4 274.6*	912.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.0%	-6.2%*	-4.5%*
ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	5.2%	4.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 978.3	1 306.3	1 310.8*	616.9*	125.4*
უმუშევრობის დონე (%)	21.6%	19.2%	17.6%	18.5%	21.9%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 177	5 434	5 741	7 535	7 721
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.3%	20.5%	20.19%	19.7%	21.3%

*წინასწარი მონაცემები